საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
„კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის"

საინფორმაციო ბიულეტენი #1

მარტი 2018

საია ქალთა უფლებებისთვის

დღეს ქალები საქართველოში არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან, რომელიც უარყოფითად აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზე.

საიას არაერთი პროექტი თუ აქტივობა მიმართულია სწორედ იმაზე, რომ გაუმჯობესდეს ქალთა უფლებრივი მდგომარეობა, რაც არსებით თანასწორობას შეუწყობს ხელს. ამიტომ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, როდესაც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის დროს, როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი ორგანიზაცია, ქალთა არსებით თანასწორობას ვლობირებდით, გარდა ამისა, პარლამენტში, ჩვენს პარტნიორებთან ერთად დავარეგისტრირეთ 37445 ამომრჩევლის ხელმოწერა და საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც სავალდებულო კვოტების შემოღებას ითვალისწინებს საარჩევნო კოდექსში.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა ბოლო წლების შედეგი არ არის. ის დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს. ბრძოლა იმისთვის, რომ ქალებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში გადაიდგა არაერთი ნაბიჯი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ქალთა ღირსების შემლახველი მდგომარეობა (ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უთანასწორობა) ყველაზე ხილულად სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური უფლებების განხორციელების დროს გამოიხატება.

აღმასრულებელი დირექტორი

ქალები ქართულ პოლიტიკაში

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და იგი ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპულ, არამედ გაცილებით უფრო კონსერვატიულ ქვეყნებს. გლობალური გენდერის ინდექსის მიხედვით, ქალი პარლამენტარების რაოდენობით საქართველო 144 ქვეყანას შორის 101-ე ადგილზეა, ქალი მინისტრების რაოდენობით კი, 106-ზე.

გაგრძელება იხ. შემდეგ გვ.-ზე.

#თანასწორობა #საია

#გენდერულიკვოტა

სარჩევი

1. ქალები ქართულ პოლიტიკაში 1
2. ქალთა ქონებრივი უფლებები 1
3. საიას იურიდიული დახმარება ქალებს 2
4. ფემიციდის პირველი საქმე საქართველოდან გაეროში 3
5. რას აჩვენებს სასამართლო პროცესების მონიტორინგი? 3
6. მსხვერპლთა პროფესიული გადამზადება 4
7. განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები 4

საიას მიერ, USAID-ის მხარდაჭერილი პროექტის *„საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“* ფარგლებში, ჩატარებული კვლევის თანახმად, **დღეის მონაცემებით ქალთა წარმომადგენლობა შეადგენს :**

- **16% საკანონმდებლო ხელისუფლება;**
- **10.50% აღმასრულებელი ხელისუფლება;**
- **53% სასამართლო ხელისუფლება;**
- **13.46% ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები;**
- **1.56% ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები/მერები;**
- **0% გუბერნატორი.**

ზემოაღნიშნული მონაცემების გასულ წლებთან შედარება ადასტურებს, რომ **ბუნებრივი გზით ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდა საქართველოში ვერ მიიღწევა. მთავარ პრობლემას წარმოადგენს პარტიების მხრიდან არჩევნებში კანდიდატებად წარუდგენლობა და არა - ამომრჩევლის მხრიდან ქალი კანდიდატების მხარდაჭერა.**

აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, საია აქტიურად მუშაობს საქართველოში ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საიას ინიციატივა, რის შედეგადაც კონსტიტუციაში დამატებით გაკეთდა შემდეგი ჩანაწერი:
„სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

ასევე, ხაზგასასმელია საიას მიერ, *ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ჯგუფთან* ერთად, ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება გენდერული კვოტირების თაობაზე, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს 37 445 მოქალაქე*. საკანონმდებლო წინადადება გულისხმობს პოლიტიკური პარტიების ვალდებულებას, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საარჩევნო სიის გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით დაკომპლექტებას. კერძოდ, პროპორციულ სიაში ყოველი მეორე განსახვავებული სქესის კანდიდატის წარდგენას.
საია აქტიურად აგრძელებს ინიცირებული კანონპროექტის ადვოკატირებას მისი კანონად ქცევის თვალსაზრისით.

**სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი 118 ორგანიზაციის განცხადება: „პარლამენტმა გენდერულ კვოტებს მხარი უნდა დაუჭიროს“.*

ქალთა ქონებრივი უფლებები

16 იანვარს, საიამ პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა მეუღლეთა ქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაზრდის თაობაზე. აღნიშნული გულისხმობს ქორწინებაში მყოფი პირის მიერ, ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ქონებაზე, თანასაკუთრების რეგისტრაციის შესაძლებლობას მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე.

საქართველოში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ქალების სახელზე ძირითადად არ არის დარეგისტრირებული თანასაკუთრებაში არსებული ქონება და მათ, უმეტეს შემთხვევაში, თანასაკუთრებაზე უფლების აღიარება უწევთ სასამართლოს გზით. **ინიცირებული საკანონმდებლო წინადადება კი, ხელს შეუწყობს ქორწინებაში მყოფ ქალთა ქონებრივი უფლებების დაცვას და შეამცირებს თანასაკუთრებაში არსებული ქონების ერთპიროვნულად განკარგვის რისკებს.**

საია იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას. აღნიშნული ეფუძნება საიას საერთაშორისო პრაქტიკის კვლევას *„მეუღლეთა თანასაკუთრება მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში“*, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები.

საიას იურიდიული დახმარება ქალებს

2017 წელს საიას იურიდიული დახმარების ცენტრმა, საქართველოს მასშტაბით, სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ძალადობის მსხვერლ 16 085 ქალს.

ასევე, 2017 წელს საიამ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე 1 973 ქალს მოუმზადა დოკუმენტი, ხოლო საადვოკატო მომსახურება გაუწია 25-მდე ბენეფიციარს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებში.



#საია

დაარსებიდან (1994 წ.) დღემდე, **საიამ დაიცვა 1 მილიონზე მეტი ადამიანის უფლება!**

#მეაქვარ

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოში **უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად, მოქალაქეთა მიამრთვიანობისა და ცნობადობის თვალსაზრისით, საია ლიდერია.** გამოკითხულთა 66%-ს სმენია საიას უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის შესახებ, ხოლო 62% დახმარებისთვის სწორედ საიას მიმართავს.

წარმატებული 2017 წელი

2017 წელს საიამ უფასო სამართლებრივი დახმარება გაუწია 35 334 პირს, საქართველოს მასშტაბით გამართა 3 659 გასვლითი სახის კონსულტაცია, ხოლო სამართალწარმოების შედეგად კი, წარმატებით დასრულდა 121 საქმე, მათგან 6 საკონსტიტუციო სასამართლოში და 4 ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საადვოკატო დახმარება გრძელდება 300-ზე მეტ საქმეზე

ფემიციდის პირველი საქმე საქართველოდან გაეროში

საიამ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC) თანამშრომლობით, 2017 წლის 5 სექტემბერს, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW) ფემიციდის საქმე გაგზავნა. აღნიშნული არის პირველი საქმე ფემიციდის თაობაზე, რომელსაც CEDAW საქართველოსთან მიმართებით განიხილავს. კერძოდ, საქმე ეხება სახელმწიფოს უმოქმედობას თავიდან აეცილებინა ფემიციდი (ქალის მიმართ ჩადენილი მკვლელობა გენდერის ნიშნით და დანაშაულის არასრულყოფილი გამოძიება), რაც საქართველოში ქალთა დისკრიმინაციის სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

<u>ბ.ძ-ს საქმე :</u>

ბ. ძ. 2004 წლიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში ო.შ.-სთან და ცხოვრობდა ქ. რუსთავში. ვინაიდან ო.შ. სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, 2013 წლის სექტემბერიდან ბ.ძ. შვილებთან ერთად ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. ო.შ.-მ განაგრძო მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომლის კულმინაცია გახდა 2014 წლის 6 მარტს ბ.ძ.-ს მკვლელობა.

მკვლელობამდე ბ.ძ.-ს 4-ჯერ ჰქონდა მიმართული პოლიციისთვის (ბოლო შემთხვევაში მკვლელობამდე 4 დღით ადრე) და ითხოვდა მოძალადისგან დაცვას. მიუხედავად ამისა, პოლიციამ და პროკურატურამ არ განახორციელეს კანონით გათვალისწინებული რეაგირება ბ.ძ.-ს სიცოცხლის დასაცავად. ო.შ.-ს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობაში (სსკ 108-ე მუხლი) და მიესაჯა მუხლით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი (7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა).

საია CEDAW-ში ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ ჩაიდინა დისკრიმინაცია ბ.ძ.-ს მიმართ, რადგან: ა) ვერ დაიცვა ბ.ძ.-ს სიცოცხლე; ბ) ვერ დაიცვა ბ.ძ. არაადამიანური მოპყრობისგან; გ) არ გამოიძია ბ.ძ.-ს სიცოცხლის მოსპობა, როგორც გენდერული დანაშული; დ) ვერ შეძლო ღრმად დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპების და დაქვემდებარების აღმოფხვრა, რაც ბ.ძ.-ს მკვლელობის გამომწვევი ძირითადი მიზეზია.

რას აჩვენებს საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგი?

2016 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით, საიას სასამართლო სხდომების მონიტორინგის თანახმად:

- *ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლეთა უდიდესი ნაწილი არიან ქალები - 88%. მიუხედავად ამისა, დანაშაულები არ აღიქმება დისკრიმინაციულ ქმედებად და ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის არც ერთი შემთხვევა არ შეფასებულა გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულად;*
- *პროკურატურისა და სასამართლოსთვის სერიოზული გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება - არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი ხედვა;*
- *მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსამართლეთა მხრიდან დაუსაბუთებლად ლმობიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. უმეტესწილად, გამოიყენება გირაო და არა - პატიმრობა;*
- *მნიშვნელოვანი პრობლემაა, ასევე, ლმობიერი სასჯელების გამოყენება. შემთხვევათა 72%-ში მოსამართლემ ნაკლებად მკაცრი სანქციები გამოიყენა, რითაც გააჩინა მოძალადის მიერ მსხვერპლთან მიახლოების უფრო მეტი შანსი.*

მონიტორინგის სრული ვერსია

მსხვერპლთა პროფესიული გადამზადება

ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, **საიას სტრატეგია სამართლებრივი დახმარების გაწევის გარდა, ასევე, მნიშვნელოვნად არის ორიენტირებული ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე.** ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, საიას მიერ ძალადობის მსხვერპლი ქალების პროფესიული გადამზადების კურსების ფინანსური მხარდაჭერა. 2017 წელს, ოჯახში ძალადობის 27-მა მსხვერპლმა, ორგანიზაციის დაფინანსებით, გაიარა სხვადასხვა პროფესიული სახის კურსი.

ძალადობის მსხვერპლი ქალების დამხარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას საია ახორციელებს ევროკავშირის პროექტის „ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში.

!! განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები

ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, საქართველოში განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან სექს-მუშაკები და ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები.

გენდერული ძალადობის შემთხვევაში, მათთვის სტამბოლის კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები პრაქტიკაში სრულებით მიუწვდომელია. ისინი საგამოძიებო ორგანოებს არ მიმართავენ, ვინაიდან არსებული კანონმდებლობის გამო, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალადობისა და სისხლისსამართლებრივი/ადმინისტრაციული დევნის მომეტებული საფრთხის წინაშე დგანან.

საია აქტიურად მუშაობს ზემოაღნიშნული მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელებთან მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით. ასევე, აღნიშნული ჯგუფებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევს საკანონმდებლო თუ პრაქტიკული გარანტიების შექმნის აუცილებლობის საკითხს.

საიას ბენეფიციარი:

„მამა წლების განმავლობაში ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა. ერთ დღესაც, დავრეკე პოლიციაში, რომელმაც სახელმწიფო თავშესაფარში გადაგვიყვანა. ახლა მშვიდად ვარ და ვემზადები ეროვნული გამოცდებისთვის, პარალელურად, სტილისტის კურსებს გავდივარ. ყველა იმ ადამიანს, ვინც ძალადობის მსხვერპლია, მივმართავ თხოვნით, ილაპარაკონ, რადგან საუბარი არის ძალიან კარგი თერაპია. მე მჯერა, როდესაც მიზანს დაისახავ, ის აუცილებლად განხორციელდება“.

ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, საია აწარმოებს ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიან კამპანიას:

#ილაპარაკე!

#არდამალოძალადობა!

#საია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - საია დაარსდა 1994 წელს. დღეს, საია ჰყავს 800-ზე მეტი წევრი, 120 თანამშრომელი, ათეულობით საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი და პარტნიორი ორგანიზაცია.

საიას აქვს ოფისები საქართველოს მასშტაბით: *ბათუმში, გორში, დუშეთში, ზუგდიდში, თბილისში, თელავში, ოზურგეთში, რუსთავსა და ქუთაისში.*

საია, ყოველწლიურად, 35 000-ზე მეტ მოქალაქეს უწევს უფასო იურიდიულ კონსულტაციას, ასეულობით ადამიანს იცავს სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოების წინაშე მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად, მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ საქმეებზე.

ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს, ასევე, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა. ამ მიზნით საია დაფუძნებიდან დღემდე აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში, რა დროსაც სწავლობს წინასაარჩევნო, არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდს, თუ რამდენად თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოა საქართველოში.

საია ყოველწლიურად 200-ზე მეტ სტუდენტ იურისტს აძლევს საშუალებას გაიღრმავოს ცოდნა და განავითაროს იურისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

დაარსებიდან (1994 წ.) დღემდე, საიამ დაიცვა 1 მილიონზე მეტი ადამიანის უფლება!

საიას აქტივობები - მარტი 2018

მიმდინარე თვეს, უშუალოდ ქალთა თემატიკაზე, საიას დაგეგმილი აქვს 15-ზე მეტი სხვადასხვა სახის აქტივობა. მათ შორის, აღსანიშნავია:

- ✓ *დისკუსია დეა გომხეთელიანის საქმეზე* - ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომელსაც სამართალდამცველებმა შემაკავებელი ორდერი გამოუწერეს:

12 მარტი - ქ. ქუთაისი, 23 მარტი - ქ. თბილისი;

- ✓ *კვლევის პრეზენტაცია - „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში“.*

14 მარტი - ქ.ქუთაისი, 15 მარტი -ქ.ზუგდიდი, 16 მარტი - ქ. ბათუმი, 23 მარტი - ქ. ახალციხე.

იხ. მეტი:

GYLA_CSO
GYLA.ge
www.gyla.ge
საია

დონორები

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
Kingdom of the Netherlands
ევროკავშირი საქართველოსთვის The European Union for Georgia
EHRAC European Human Rights Advocacy Centre
EQUAL RIGHTS TRUST
SIGRID RAUSING TRUST
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)
SWEDEN
British Embassy Tbilisi
Norwegian Embassy
NED National Endowment for Democracy
Supporting freedom around the world
PORADNA PRO OBČANSTVÍ, OBČANSKÁ A LIDSKÁ PRÁVA
Brot für die Welt
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო